საქართველოს ეკონომიკის პერსპექტივა 2015–2016

საგარეო შოკი და შიდა გამოწვევები

ანგარიში #9

EPRC
Economic Policy Research Center

მაისი 2016

საქართველოს ეკონომიკის პერსპექტივა 2015–2016

საგარეო შოკი და შიდა გამოწვევები

მაისი 2016

ანგარიში მომზადდა ღია საზოგადოების ინსტიტუტის ფონდების ფინანსური მხარდაჭერით ანალიტიკური ორგანიზაციების ინსტიტუციონალური მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში.

© ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი

სარჩევი

შესავალი 6

ძირითადი მიგნებები 6

მთავარი თემა: ლარის გაუფასურება და პოლიტიკის რეაგირება 7

ეკონომიკური ზრდა ქვეყანაში 20

სამომხმარებლო ფასების ინდექსი და ინფლაცია 24

საგარეო სექტორი 28

- პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 28
- ვაჭრობა 30

დასკვნები და პოლიტიკის რეკომენდაციები 34

შესავალი

წინამდებარე მეცხე ანგარიში, „საქართველოს ეკონომიკის პერსპექტივა - 2015-2016: საგარეო შოკი და შიდა გამოწვევები“, მომზადებულია ანალიტიკური ორგანიზაციების ინსტიტუციონალური მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ღია საზოგადოების ფონდების ფინანსური მხარდაჭერით. ანგარიშში განხილულია ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკის განვითარების ძირითადი მოვლენები და ხაზგასმულია არსებული გამომწვევები, რომლებსაც ეკონომიკის პოლიტიკის შემმუშავებლებმა და სხვა შესაბამისმაინსტიტუტებმაუნდაუპასუხონ.ამანგარიშშიგამოყენებულიმონაცემების უმეტესობა აღებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, საქართველოს ეროვნული ბანკის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ოფიციალური ვებგვერდებიდან.

მეცხე ანგარიშის მთავარი თემაა: ლარის გაუფასურება და პოლიტიკის რეაგირება.

ძირითადი მიგნებები

2015 წელი გამოწვევების წელი იყო ქართული ეკონომიკისთვის. რეგიონში განვითარებული მოვლენებისა და ქვეყნის შიგნით შესუსტებული მოთხოვნის ფონზე ეკონომიკური ზრდა მოკრძალებული აღმოჩნდა, რაც, მიუხედავად ზრდის დადებითი ტემპისა, საქართველოს მსგავსი განვითარებადი ქვეყნისთვის უკუსვლას წარმოადგენს. როგორც კერძო სექტორის, ისე მომხმარებლებისთვის ძირითად პრობლემას ლარის გაუფასურება წარმოადგენდა – ტენდენცია, რომელიც თითქმის მთელი წლის მანძილზე დაფიქსირდა. სესხების მაღალი დოლარიზაციისა და შემოსავალ/გასავლებში მნიშვნელოვანი სავალუტო დისბალანსის გამო, ლარის გაუფასურებამ მნიშვნელოვანი საფრთხეები შეუქმნა მსესხებლებს, როგორც ბიზნესში, ისე სამომხმარებლო სექტორში. მიუხედავად ამისა, მათ შორის საქართველოს ეროვნული ბანკის სწორი პოლიტიკის გამო, ფინანსურ სტაბილურობას ქვეყანაში საფრთხე არ შექმნია, ხოლო ინფლაცია მიზნობრივი მაჩვენებლის ფარგლებში დარჩა. მიუხედავად წინა წელთან შედარებით მცირე კლების, კვლავ მაღალ დონეზე დარჩა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, რაც მეტად მნიშვნელოვანია სამომავლო განვითარებისთვის.

მთავარი თემა: ლარის გაუფასურება და პოლიტიკის რეაგირება

2014 წლის ნოემბრიდან 2015 წლის ბოლომდე აშშ დოლარის მიმართ ლარის გაუფასურება წარმოადგენდა მთავარ გამოწვევას, რომლის წინაშეც საქართველოს ეკონომიკა აღმოჩნდა. მრავალი მიზეზის გამო, რომელთა განხილვას ქვემორე ანალიზში შევეცდებით, ლარი ამ პერიოდში პიკზე 40%–ით, ხოლო 2015 წლის ბოლოსთვის – 35–36%–ით გაუფასურდა.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

გაუფასურების ძირითად მიზეზს წარმოადგენდა საგადასახდელო ბალანსის მნიშვნელოვანი შოკი, რომელიც კარგად ჩანს წლიურ მონაცემებში, როდესაც მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი 2014 წელს დაახლოებით ორჯერ გაფართოვდა 2013 წელთან შედარებით და მნიშვნელოვნად არ შეცვლილა 2015 წელსაც.

მილიონი აშშ დოლარი	2013	2014	2015
მიმდინარე ანგარიში	-937.6	-1,753.0	-1,640.8
ა. საქონელი	-3,492.6	-4,280.4	-4,302.8
ბ. მომსახურება	1,405.5	1,297.8	1,455.5
გ. შემოსავალი	-316.1	-204.3	-401.7
დ. მიმდინარე ტრანსფერტები	1,465.6	1,433.9	1,608.2
კაპიტალისა და ფინანსური ანგარიში	979.3	1,826.7	1,726.6
კაპიტალის ანგარიში	134.1	109.7	63.5
ფინანსური ანგარიში	845.2	1,717.0	1,663.1
ა. პირდაპირი ინვესტიციები	829.0	1,343.1	1,209.2
ბ. პორტფელის ინვესტიციები	-36.6	207.4	-156.0
გ. ფინანსური წარმოებულები	-2.4	8.2	-1.8
დ. სხვა ინვესტიციები	9.9	125.0	512.2
ე. სარეზერვო აქტივები	45.2	33.4	99.4
წმინდა შეცდომები და გამოტოვებები	-41.6	-73.7	-85.8

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

შოკის ქრონოლოგია განსაკუთრებით კარგად ჩანს, თუკი კვარტალურ მონაცემებს დავაკვირდებით. მიმდინარე ანგარიშის პირველი შოკი დაფიქსირდა 2013 წელს, თუმცა ეს შოკი ერთჯერად ხასიათს ატარებდა, და ძირითადად ბიუჯეტის არათანაბარი ხარჯვით იყო გამოწვეული, როგორც გრაფიკზე ჩანს.



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ამ შოკისგან განსხვავებით, 2014 წლის ბოლოს დაფიქსირებული შოკი მთლიანად ეგზოგენური ფაქტორებით იყო გამოწვეული. მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი 2014 წლის პირველი სამი კვარტალის მანძილზეც უარესდებოდა, ძირითადი დარტყმა სახეზე იყო წლის მეოთხე კვარტალში, როდესაც მიმდინარე ანგარიშის კვარტალურმა დეფიციტმა 2008 წლის მეორე კვარტალის შემდეგ მაქსიმალურ დონეს მიაღწია. შედეგმაც არ დააყოვნა – ლარმა გაუფასურება დაიწყო და რამდენიმე თვეში თითქმის 40%–ით გაუფასურდა.

მილიონი აშშ დოლარი	I კვ. 2013	II კვ. 2013	III კვ. 2013	IV კვ. 2013
მიმდინარე ანგარიში	-237.7	-200.4	-62.5	-437.1
ა. საქონელი	-745.3	-876.1	-861.3	-1,009.9
ბ. მომსახურება	256.9	375.5	515.5	257.6
გ. შემოსავალი	-107.0	-75.5	-72.5	-61.0
დ. მიმდინარე ტრანსფერტები	357.8	375.8	355.9	376.2
კაპიტალისა და ფინანსური ანგარიში	257.4	194.9	66.8	460.2
კაპიტალის ანგარიში	20.8	39.3	36.9	37.1
ფინანსური ანგარიში	236.6	155.6	29.9	423.1
ა. პირდაპირი ინვესტიციები	236.9	170.7	253.9	167.5
ბ. პორტფელის ინვესტიციები	-31.1	-94.6	-73.8	162.9
გ. ფინანსური წარმოებულები	0.0	-1.4	-0.2	-0.7
დ. სხვა ინვესტიციები	123.3	132.1	-86.2	-159.3
ე. სარეზერვო აქტივები	-92.5	-51.2	-63.8	252.7
წმინდა შეცდომები და გამოტოვებები	-19.7	5.5	-4.3	-23.2

მილიონი აშშ დოლარი	I კვ. 2014	II კვ. 2014	III კვ. 2014	IV კვ. 2014
მიმდინარე ანგარიში	-353.3	-425.0	-272.3	-702.5
ა. საქონელი	-848.0	-1,065.7	-1,094.3	-1,272.4
ბ. მომსახურება	215.4	337.8	517.9	226.7
გ. შემოსავალი	-75.7	-64.3	-66.8	2.4
დ. მიმდინარე ტრანსფერტები	355.0	367.2	370.9	340.8
კაპიტალისა და ფინანსური ანგარიში	364.7	411.7	296.8	753.5
კაპიტალის ანგარიში	12.6	30.5	24.4	42.2
ფინანსური ანგარიში	352.2	381.2	272.4	711.3
ა. პირდაპირი ინვესტიციები	251.3	142.1	484.9	464.8
ბ. პორტფელის ინვესტიციები	-16.6	206.9	4.9	12.2
გ. ფინანსური წარმოებულები	3.0	0.3	1.0	3.9
დ. სხვა ინვესტიციები	-114.3	-71.6	45.7	265.1
ე. სარეზერვო აქტივები	228.8	103.4	-264.0	-34.9
წმინდა შეცდომები და გამოტოვებები	-11.4	13.2	-24.5	-51.0

მილიონი აშშ დოლარი	I კვ. 2015	II კვ. 2015	III კვ. 2015	IV კვ. 2015
მიმდინარე ანგარიში	-463.2	-354.4	-301.1	-522.1
ა. საქონელი	-972.1	-981.3	-1,164.7	-1,184.7
ბ. მომსახურება	216.7	334.9	604.0	299.9
გ. შემოსავალი	-49.2	-128.5	-181.0	-43.1
დ. მიმდინარე ტრანსფერტები	341.4	420.5	440.5	405.8
კაპიტალისა და ფინანსური ანგარიში	445.5	389.2	338.1	553.9
კაპიტალის ანგარიში	17.0	17.2	12.6	16.6
ფინანსური ანგარიში	428.4	372.0	325.4	537.2
ა. პირდაპირი ინვესტიციები	127.7	328.2	477.6	275.8
ბ. პორტფელის ინვესტიციები	-86.6	7.7	-38.0	-39.1
გ. ფინანსური წარმოებულები	2.4	-4.5	-0.5	0.8
დ. სხვა ინვესტიციები	200.2	60.8	-109.7	360.9
ე. სარეზერვო აქტივები	184.8	-20.2	-4.0	-61.2
წმინდა შეცდომები და გამოტოვებები	17.7	-34.8	-36.9	-31.8

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საგადასახდელო ბალანსის შოკი ერთდროულად სამი ტიპის ფაქტორის შედეგი იყო – შეგვიძლია გამოვყოთ გლობალური, რეგიონული და ლოკალური ფაქტორები.

გლობალურ ფაქტორებში ძირითადი აშშ–ში 2014 წელს დაფიქსირებული სწრაფი ზრდა – თითქმის 2.5% – იყო. შედეგად აშშ–ს ფედმა დაიწყო ეტაპობრივი გასვლა ე.წ. რაოდენობრივი შერბილების პროგრამიდან,[1] რომლის მეშვეობით 2007–2013 წლებში მან თავისი საბალანსო უწყისი თითქმის 3 ტრილიონი დოლარით გაზარდა.[2] ამგვარმა პოლიტიკამ მნიშვნელოვნად დაწია აშშ დოლარის ღირებულება მსოფლიო ვალუტებთან მიმართებაში და იყო განვითარებად ქვეყნებში კაპიტალის მნიშვნელოვანი შედინების ერთ–ერთი წყარო. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 2007 წლამდე აშშ–ში დიდი ხნის მანძილზე საპროცენტო განაკვეთები საკმაოდ დაბალი იყო, ხოლო საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შედინება რეკორდულად მაღალი, ლარის მნიშვნელოვანი გამყარება აშშ დოლარის მიმართ ბუნებრივი იყო. ამდენად, რაოდენობრივი შერბილებიდან გამოსვლა განვითარებადი ქვეყნებისთვის ნიშნავდა იაფი დოლარის ეპოქის დასასრულს, რაც კარგად ჩანს აშშ–ს დოლარის ინდექსის (ეფექტური გაცვლითი კურსის) დინამიკაში.

1 რაოდენობრივი შერბილება წარმოადგენს არაკონვენციურ მონეტარულ პოლიტიკას, რომლის დროსაც ცენტრალურ ბანკს შეუძლია საპროცენტო განაკვეთების ნულთან ახლოს ყოფნისას აწარმოოს აქტივების ფართომასშტაბიანი შესყიდვა და ამით მოახდინოს ეკონომიკის სტიმულირება.

2 https://www.stlouisfed.org/publications/regional-economist/january-2014/the-rise-and-eventual-fall-in-the-feds-balance-sheet



წყარო: ავტორების გათვლები, ბლუმბერგი

ნიშანდობლივია, რომ ლარმა დოლარის მიმართ გაუფასურება უფრო გვიან დაიწყო, ვიდრე დოლარის ინდექსმა – ზრდა. ამის მიზეზი იყო სიტუაცია რეგიონში და მოვლენები, რომლებსაც ადგილი ევროკავშირში ჰქონდა.

ფედის მიერ რაოდენობრივი შერბილების პროგრამიდან გასვლა თითქმის ზუსტად დაემთხვა ევროპის ცენტრალური ბანკის მიერ მონეტარული პოლიტიკის ცვლილებას. მარიო დრაგიმ, ევროპის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტმა, 2014 წლის აპრილში გამოაცხადა, რომ დაბალი ინფლაციის პირობებში, რაოდენობრივი შერბილება განხილვის საგანი გახდა,[3] ხოლო 2015 წლის იანვარში აქტივების შესყიდვის გაფართოებული პროგრამა ოფიციალურად დაიწყო[4]. ნიშანდობლივია, რომ ბაზრების რეაქცია მყისიერი იყო – ევრომ გაუფასურება ჯერ კიდევ 2014 წლის მაისიდან დაიწყო, ბევრად ადრე, ვიდრე ევროპის ცენტრალური ბანკი დაიწყებდა აქტივების შესყიდვას. შედეგად, ევრო თითქმის 20%–ით გაუფასურდა 2014 წლის მანძილზე, ხოლო 2015 წლის განმავლობაში 1.15 ნიშნულს ქვემოთ იყო.

3 http://www.theguardian.com/business/2014/apr/03/european-central-bank-meets-as-deflation-fears-grow-business-live

4 https://www.ecb.europa.eu/press/pr/date/2015/html/pr150122_1.en.html

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

არ წარმოადგენდა რა, ევროს გაუფასურება დოლარის მიმართ პრობლემას ევროზონის მაცხოვრებლებისთვის, ამ გარემოებამ მნიშვნელოვნად შეამცირა ევროკავშირში მცხოვრებ ქართველთა შემოსავლები დოლარში და ამდენად შემცირდა გზავნილების ის ნაწილიც, რომელიც ევროზონიდან შემოდიოდა. ამასთან ერთად, სიტუაცია საბერძნეთში, რომელიც ტრადიციულად გზავნილების მეორე ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროა საქართველოსთვის, რუსეთის შემდეგ (2011–2014 წლებში მთლიანი გზავნილების საშუალოდ 12.8%), მნიშვნელოვნად გაუარესდა, ქვეყანაში დატრიალებული სავალო კრიზისის გამო. 2015 წლის ზაფხულში, მას შემდეგ რაც გადარიცხვები საბერძნეთის ბანკებიდან საზღვარგარეთ აიკრძალა, ხოლო ნაღდი ფულის გატანა შეიზღუდა დღეში 60 ევრომდე, გზავნილები საბერძნეთიდან საქართველოში 90%–ზე მეტით დაეცა. მთლიანობაში, 2015 წლის მანძილზე გზავნილები ევროკავშირიდან 23% დაეცა, რაც თავისთავად უკვე საკმარისი იყო ლარის კურსზე მნიშვნელოვანი ზეწოლისთვის.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ყველაზე მნიშვნელოვანი ეგზოგენური გავლენა საქართველოს ეკონომიკასა და კონკრეტულად ლარის გაცვლით კურსზე მოახდინა რუსეთსა და რეგიონში განვითარებულმა მოვლენებმა და, განსაკუთრებით, რუსეთ–უკრაინის ომმა და ამ ომის შედეგად რუსეთზე დაკისრებულმა სანქციებმა.

ომისა და კრიზისის შედეგად უკრაინული ჰრივნის გაუფასურებამ და უკრაინაში შესუსტებულმა მოთხოვნამ მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინა საქართველოს ექსპორტის კონკურენტუნარიანობაზე. შედეგად უკრაინის წილი საქართველოს ექსპორტში შემცირდა 6.6%–იდან 2013 წელს 2.5%–მდე 2015 წელს. ანალოგიურად, რუსეთის წილი საქართველოს ექსპორტში დაეცა 9.6%–იდან 2014 წელს 7.4%–მდე 2015 წელს.

რუსეთზე დაკისრებულმა სანქციებმა, ნავთობის ფასების მკვეთრ დაცემასთან ერთად, გამოიწვია რუბლის მნიშვნელოვანი გაუფასურება, რომლის მასშტაბი 2014 წლის იანვრიდან 2015 წლის ბოლომდე 120% იყო. გარდა საქართველოს ექსპორტზე უარყოფითი ზეგავლენისა, განსაკუთრებით მძიმედ აღნიშნული გაუფასურება დაეტყო რუსეთიდან გზავნილების მოცულობას, რომელიც 2015 წლის მანძილზე 39%–ით შემცირდა. იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთი ტრადიციულად საქართველოში გზავნილების შემოდინების ძირითად წყაროს წარმოადგენს და 2009–2013 წლებში მთლიანი გზავნილების 53.5% სწორად რუსეთიდან მოდიოდა, აშკარაა, თუ რაოდენ დიდი ზეგავლენა ექნებოდა უცხოური ვალუტების ნაკადების ბალანსისა და შესაბამისად ლარის გაცვლით კურსზე აღნიშნულ გარემოებას.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

აღსანიშნავია, რომ ლარის მიმართ თითქმის ყველა ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ვალუტების გაუფასურების გამო, ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი მყარდებოდა 2014 წლის მანძილზე, სანამ დაიწყებოდა გაუფასურება აშშ დოლარის მიმართ.

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

შედეგად ექსპორტი დაეცა (გზავნილების მსგავსად), მაგრამ იმპორტის დაცემა არ დაწყებულა 2015 წლის შუამდე.



წყარო: საქსტატი



წყარო: საქსტატი



წყარო: საქსტატი

საბოლოოდ, გაუფასურებამ გამოიწვია საგადასახდელო ბალანსის კორექტირება, ექსპორტში დაცემას მოყვა იმპორტის დაცემა 2015 წლის მეორე–მესამე კვარტალებში, რომელიც გამოწვეული იყო როგორც გაუფასურებით, ისე სამომხმარებლო საქონელზე მოთხოვნის შემცირებით.

მთლიანობაში, საქართველომ 2014/15 წლებში დაახლოებით 1 მილიარდი დოლარის შემოდინებები დაკარგა, რამაც ლარის კურსზე მნიშვნელოვანი ზეწოლა მოახდინა. ეს ზეწოლა მხოლოდ მას მერე შეჩერდა, რაც გადინებებიც ანალოგიური მაჩვენებლით შემცირდა და 2015 წლის მეორე ნახევრისკენ ლარის კურსი ახალ წონასწორულ ნიშნულზე – 2.40 ლარი/დოლარი – შეჩერდა.

მთელი ამ პერიოდის განმავლობაში არაერთხელ გაისმა პრეტენზიები საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართ, რომელსაც ადანაშაულებდნენ ჯერ გაუფასურებაში, შემდეგ გაუფასურების მასშტაბში. რა თქმა უნდა, ეს ბრალდებები ყოველგვარ საფუძველს იყო მოკლებული, რისი დადასტურებაც, თუნდაც რეგიონის ქვეყნებში განვითარებული ანალოგიური მოვლენებით შეიძლება.

	გაუფასურება 2014 წლის დასაწყისიდან	გაუფასურება 2015 წლის დასაწყისიდან
რუსეთი	99.7%	15.3%
უკრაინა	171.5%	37.6%
თურქეთი	33.9%	23.2%
აზერბაიჯანი	103.8%	103.8%
ყაზახეთი	62.7%	37.1%
სომხეთი	17.2%	0.9%
მოლდოვა	44.4%	20.6%
საქართველო	33.9%	23.5%

მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენება რეგიონის ქვეყნებში				
	რეზერვების გაყიდვა, 2014 (მლნ აშშ დოლარი)	რეზერვების გაყიდვა, 2015 (მლნ აშშ დოლარი)	ინფლაცია	პოლიტიკის განაკვეთი
რუსეთი	125,000	30,000	15.6%	11.0%
უკრაინა	14,000		55.3%	30.0%
თურქეთი	6,500	2,700	6.8%	7.5%
აზერბაიჯანი	2,500	7,630	4.5%	3.0%
ყაზახეთი	28,000		3.9%	5.5%
სომხეთი	770	130	4.2%	10.5%
მოლდოვა	660	400	8.3%	17.5%
საქართველო	100	200	4.9%	6.0%

სომხეთის გამოკლებით, რეგიონის ყველა ქვეყანაში ადგილობრივი ვალუტა მნიშვნელოვნად გაუფასურდა დოლარის მიმართ და ამ გაუფასურების მასშტაბი საქართველოსაზე დიდი იყო; ყველა ამ ქვეყანაში რეზერვების გაყიდვა მკვეთრად აღემატებოდა საქართველოს მაჩვენებლებს (რეზერვების %–ბში) და ვერც ერთ ქვეყანაში რეზერვების გაყიდვა არ აღმოჩნდა საკმარისი გაუფასურების შესაჩერებლად. ამასთან ქვეყნების უმეტესობაში პოლიტიკის განაკვეთი საქართველოს პოლიტიკის განაკვეთზე მაღალი იყო. მთლიანობაში, საქართველოს ეროვნული ბანკის პოლიტიკა გრძელვადიან პერიოდში აბსოლუტურად გამართლებული იყო – მცურავი გაცვლითი კურსის შენარჩუნება, რათა საგადასახდელო ბალანსის კორექტირება კურსის გავლენით მოხდეს; ერთობლივი მოთხოვნის ზედმეტი შეზღუდვისგან (საპროცენტო განაკვეთების ზრდით) თავის შეკავება, რათა არ მოხდეს ეკონომიკის რეცესიაში გადაყვანა; ინტერვენციების გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა აუიოტაჟური მკვეთრი ნახტომები კურსის მერყეობაში; საპროცენტო განაკვეთების ზრდით ინფლაციური მოლოდინების შებოჭვა.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოსთვის ლარის გაუფასურება აშშ დოლარის მიმართ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს მხოლოდ ქვეყანაში დაფიქსირებული მაღალი დოლარიზაციისა და მოსახლეობის შემოსავლებსა და გასავლებს შორის მნიშვნელოვანი სავალუტო დისბალანსის გამო. დოლარიზაციის მაღალი დონის გამო ლარის მასშტაბურ გაუფასურებას შეიძლება მნიშვნელოვანი რისკები შეექმნა ფინანსური სტაბილურობისთვის, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ რისკების რეალიზება არ მომხდარა, რაც ვადაგადაცილებული სესხების წილის დინამიკაში აისახა.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ მოცემულ გარემოებებში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული პოლიტიკა ოპტიმალური, თუმცა არაპოპულარული იყო. სებ–მა გაუძლო რეზერვების გაფლანგვის ცდუნებას, და აქცენტი გრძელვადიან განვითარებასა და რისკის შერბილებაზე მოახდინა. რეგიონის სხვა ქვეყნებთან შედარებისას ჩანს, რომ ეს პოლიტიკა სრულიად გამართლებული იყო. მნიშვნელოვანი იყო, ასევე, რომ სებ–ის მონეტარული პოლიტიკა, მიუხედავად მთლიანობაში გამკაცრების დინამიკისა, არ ხასიათდებოდა მკვეთრი ნახტომებით, რაც უდავოდ რეცესიისკენ უბიძგებოდა ქვეყანას, რაც, თუნდაც გაუფასურების შეჩერების ხარჯზე, ისედაც შესუსტებული ეკონომიკისთვის დამანგრეველი იქნებოდა.

2015 წლის ბოლოსა 2016 წლის დასაწყისში, მსოფლიო ბაზრებზე ნავთობის ფასების კლების შედეგად, მნიშვნელოვანი პრობლემები შეექმნა რუსეთისა და აზერბაიჯანის ვალუტებს, რის შედეგადაც რუბლი რეკორდულად გაუფასურდა, ხოლო აზერბაიჯანის ცენტრალურმა ბანკმა ვეღარ შეძლო ფიქსირებული კურსის დაცვა და 2015 წლის 20 დეკემბერს მანათი თავისუფალ ცურვაში გაუშვა. შედეგად მანათი ერთბაშად თითქმის 50%–ით გაუფასურდა. რუსეთისა და აზერბაიჯანის სავალუტო ბაზრებზე ჩამოყალიბებულმა პანიკამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საქართველოს სავალუტო ბაზარზეც და ლარი გაუფასურების ტენდენციას დაუბრუნდა – 2016 წლის 28 იანვარს ლარმა გაუფასურების ისტორიულად ყველაზე მაღალ წერტილს – 2.4985 ლარი 1 აშშ დოლარში – მიაღწია. თუმცა, მას შემდეგ რაც რუსეთსა და აზერბაიჯანში პანიკა ჩაცხრა, ნავთობის ფასებმა ზრდა დაიწყო და ამასთან საქართველოში ტურიზმის ზრდისა და იმპორტის კლების ხარჯზე წმინდა სავალუტო შემოდინებები გაიზარდა, ლარმა გამყარება დაიწყო და 2016 წლის მაისისთვის პიკთან შედარებით 11%–ით გამყარდა.

ამ ეტაპზე, სავარაუდოდ, ლარის გაუფასურებაზე მოქმედი საგარეო შოკების ზეგავლენა ამოწურულია და ტურიზმსა და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებული ოპტიმისტური პროგნოზებიდან გამომდინარე, მოსალოდნელია ლარის კურსის სტაბილურობა, მცირე გამყარების ტენდენციით. ამ გარემოებების გათვალისწინებით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, პირველად ბოლო ორი წლის მანძილზე შეარბილა მონეტარული პოლიტიკა, დაწია რა რეფინანსირების განაკვეთი 50 საბაზო პუნქტით.

ეკონომიკური ზრდა ქვეყანაში

ბოლო სამი წლის განმავლობაში ეკონომიკური ზრდა საქართველოში, განვითარებული ქვეყნების სტანდარტებით სუსტი იყო – 3.4% 2013 წელს, 4.6% 2014–ში და 2.8% – 2015 წელს.[5] ეკონომიკური ზრდის ამგვარ შესუსტებას წინა პერიოდთან შედარებით მრავალი როგორც იდიოსინკრატული, ისე რეგიონალური და გლობალური ფაქტორი განაპირობებდა, თუმცა თუკი 2013–2014 წლების ეკონომიკური შენელება შეიძლება დავუკავშიროთ რეჟიმის შეცვლასთან დაკავშირებული გაურკვევლობის გამო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კლებას და, შესაძლოა, ეკონომიკურად გაუმართლებელი კანონების მიღებას,[6] უნდა აღინიშნოს, რომ 2015 წელი საქართველოს ეკონომიკისთვის განსაკუთრებული გამოწვევების წელი გამოდგა და ამის ძირითადი მიზეზი რეგიონში განვითარებული მოვლენები და მეზობელ ქვეყნებში შექმნილი ეკონომიკური პრობლემები იყო.



წყარო: საქსტატი

2015 წელს საქართველოს რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ 2.8%

შეადგინა. განსხვავებით წინა წლებისგან, ზრდა წლის განმავლობაში მეტ–ნაკლებად თანაბარი იყო, და კვარტალურად 2.5%–დან 3.2%–მდე მერყეობდა.

5 წინასწარი შეფასებით

6 მაგ. მორატორიუმი სასოფლო–სამეურნეო მიწის გასხვისებასთან დაკავშირებით, ან გამკაცრებული სავიზო რეგულაციები

2015 წელს საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის თითქმის მეოთხედს შეადგენდა მრეწველობა, თუმცა მისი წილი ზრდაში უარყოფითი იყო (–0.15%), ძირითადად დამამუშავებელი მრეწველეობის კლებისა და სხვა დარგების სტაგნაციის ხარჯზე. ზრდაში ყველაზე დიდი წილი 2015 წელს მშენებლობამ შეიტანა – 2.8% მთლიანი ზრდიდან 0.8 პროცენტული პუნქტი სწორად ამ დარგზე მოვიდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია, ეკონომიკური აქტივობის შენელების შედეგად, ვაჭრობის სექტორის სტაგნაციაც – თუ 2014 წლის მშპ–ს ზრდაში ამ დარგის წილი 0.8 პროცენტული პუნქტი იყო, 2015 წელს ეს მაჩვენებელი 0–ზე ოდნავ ნაკლებ ნიშნულზე დაფიქსირდა. ბოლო სამი წელი შედარებით ნელა ვითარდება ფინანსური სექტორიც – თუკი 2013 წლამდე (2008–09 კრიზისული წლების გამოკლებით) მისი ზრდა ორნიშნა ტემპით ხასიათდებოდა, ბოლო სამი წლის მანძილზე ის საშუალოდ 8.8%–ით იზრდება და მისი წვლილი ზრდაშიც შემცირებულია.

ეკონომიკური ზრდის შენელება საქართველოში აისახა საერთაშორისო ორგანიზაციების პროგნოზებშიც. საერთაშორისო სავალუტო ფონდი 2015 წლის ოქტომბრის პროგნოზებით საქართველოში ზრდა 2015 წელს 2%, ხოლო 2016 წელს – 3% უნდა ყოფილიყო[7]. ამასთან, 2016 წლის აპრილში გამოქვეყნებული პროგნოზის შესაბამისად, სსფ–მ შეამცირა 2016 წლის პროგნოზე 2.5%–მდე და 2017 წლისთვის 4.5%–იანი ზრდა ივარაუდა.[8] შედარებით ოპტიმისტურია მსოფლიო ბანკის პროგნოზებიც, რომელთა მიხედვით ეკონომიკური ზრდა საქართველოში 2016 წელს – 3%, 2017 წელს – 4.5% ხოლო 2018 წელს – 5.0% იქნება.[9] ამ პროგნოზების საფუძველია, პირველ რიგში, რეგიონში ეკონომიკური აქტივობის შესუსტება, რეცესიის გაგრძელება რუსეთში (პროგნოზებით, რუსეთში 2016 წელსაც ეკონომიკური კლება დაფიქსირდება და მხოლოდ 2017 წლიდან ეს ტენდენცია შებრუნდება), და ზოგადი უკმაყოფილება ეკონომიკური განვითარებით ქვეყნის შიგნით. აშშ–ის ეროვნულ–დემოკრატიული ინსტიტუტის 2016 წლის მარტის კვლევის შედეგების თანახმად, ქვეყნის მოსახლეობისთვის სწორად ეკონომიკა წარმოადგენს ყველაზე უფრო მნიშვნელოვან საკითხს და გამოკითხულთა მხოლოდ 2% აფასებს ქვეყანაში ეკონომიკურ სიტუაციას დადებითად. ქვეყნის სამი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა ამავე გამოკითხვის მიხედვით არის სამუშაო ადგილები (57%), ფასების ზრდა/ინფლაცია (35%) და სიღარიბე (30%). მოსახლეობის 66% თვლის, რომ ეკონომიკური მდგომარეობა ქვეყანაში ცუდი ან ძალიან ცუდია და ამას ამჟამინდელი (81%) და წინა მთავრობის (59%) შეცდომებს და გლობალური ეკონომიკის პრობლემებს (53%) აბრალებს. ამასთან მოსახლეობის 65% თავს უმუშევრად მიიჩნევს (უნდა აღინიშნოს, რომ ეს მაჩვენებელი არ ჩამოცდენია 60%–ს 2010 წლის აპრილიდან, რაც ცალსახად მიუთითებს იმაზე, რომ ქვეყნის ძირითად ეკონომიკურ პრობლემას სწორად დასაქმება და სამუშაო ადგილების სიმწირე წარმოადგენს).[10] ეს თავისთავად პარადოქსულ ფაქტს წარმოადგენს, იმას თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს მოწინავე პოზიციები უკავია მსოფლიო ბანკის

7 http://www.imf.org/external/pubs/ft/reo/2015/mcd/eng/pdf/mreo1015ch3.pdf

8 http://www.azernews.az/region/95125.html

9 http://pubdocs.worldbank.org/pubdocs/publicdoc/2016/1/948841452266268379/Global-Economic-Prospects-January-2016-Regional-Overview-ECA.pdf

10 https://www.ndi.org/files/NDI%20Georgia_March%202016%20poll_Public%20Issues_ENG_vf.pdf

„ბიზნესის კეთების ინდექსის“ მიხედვით (რომელშიც საქართველო ბოლო ორი წლის მანძილზე 24–ეა).[11] ამასთან ქვეყანა ტრადიციულად მსოფლიოს პირველ ათეულში შედის ბიზნესის დაწყების (მე–6 ადგილი), საკუთრების დარეგისტრირებისა (მე–3) და კრედიტის მიღების (მე–7) სიმარტივის მიხედვით. აღსანიშნავია, რომ ამ ინდექსის ერთ–ერთ შემადგენელ ნაწილში, კერძოდ კი გადახდისუუნარობის გადაწყვეტაში, საქართველო მხოლოდ 101–ე ადგილზეა, რაც იმას ნიშნავს, რომ არაერთ კერძო მეწარმეს, შესაძლოა, ტვირთად აწევს წარუმატებელი ბიზნეს–პროექტები, რაც, თავისთავად, ართულებს „ბალასტის“ მოშორებასა და ახალი საქმიანობის დაწყებას – პროცესს, რომლის სიმარტივე აუცილებელია კერძო სექტორის ეფექტიანი მუშაობისთვის.

აღსანიშნავია საქართველოს მაჩვენებლები კიდევ ერთი მნიშვნელოვან საერთაშორისო რეიტინგში – გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში, რომლის 2015–16 წლების გამოცემაში საქართველო 66–ეა დგილს იკავებს.[12] ამ ინდექსის შემადგენელი სვეტებში (pillars) საქართველოსთვის ყველაზე დიდ პრობლემებს ბაზრის ზომა, ბიზნესის სირთულე (sophistication) და ინოვაციები წარმოადგენს. თუკი ინდექსს ჩავუღრმავდებით, ვნახავთ, რომ ამ ინდექსშიც აშკარაა ბიზნესის წამოწყების სიმარტივეში საქართველოს მოწინავე პოზიციები, თუმცა ბევრად უფრო საინტერესოა ის ელემენტები, რომლებშიც საქართველო მსოფლიო ქვეყნების მეორე ასეულში იმყოფება (სულ ინდექსში 140 ქვეყანაა შესული). პირველ რიგში ესენია ადგილობრივი მიმწოდებლების რაოდენობა (137–ე) და დაფინანსება ადგილობრივი საფონდო ბაზრების მეშვეობით (133–ე). საქართველოში ასევე განუვითარებელია კლასტერული განვითარება (120–ე), ვენჩურული კაპიტალის ხელმისაწვდომობა (119–ე), ქვეყნის შესაძლებლობა მოიზიდოს ნიჭი (117–ე), ადგილობრივი მიმწოდებლის ხარისხი (117–ე), მეცნიერთა და ინჟინერთა ხელმისაწვდომობა (113–ე), მოთხოვნის პირობების ხარისხი (114–ე) და განათლების სისტემის ხარისხი (101–ე). მიუხედავად სუბიექტურობის გარკვეული წილისა, ეს მაჩვენებლები საჭირო რეფორმების ცხად მიმართულებას სახავს, აჩვენებს რა კონკურენტუნარიანობის იმ შემადგენელ ნაწილებს, რომლებიც აფერხებს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას.[13]

მთლიანობაში, საქართველოს ბევრად უფრო სწრაფად ვითარდება, ვიდრე დსთ–ის რეგიონი, რომლის საშუალო ზრდა 2015 წელს უარყოფითი იყო (–2.6%) და, როგორც მოსალოდნელია, ეს რეცესია 2016 წელსაც გაგრძელდება.[14]

რაც შეეხება მშპ–ის ნომინალურ მაჩვენებლებს, 2015 წელს მშპ–მა მიმდინარე ფასებში 31.7 მილიარდი ლარი შეადგინა, რაც 8.7%–ით აღემატება 2014 წლის მაჩვენებელს. ამასთან, უნდა ითქვას, რომ ერთ სულ მოსახლეზე მშპ ამავე პერიოდში გაიზარდა 30.1%–ით (6491.6 ლარიდან 8497.5 ლარამდე), რაც მოსახლეობის

11 http://www.doingbusiness.org/data/exploreeconomies/georgia/

12 http://reports.weforum.org/global-competitiveness-report-2015-2016/economies/#indexId=GCI&economy=GEO

13 ცალკე უნდა აღინიშნოს წინა წელთან შედარებით 24 ადგილით ჩამოქვეითება ეროვნული დანაზოგის მშპ–სთან ფარდობაში (72–დან 96–მდე), რადგან ეს მაჩვენებელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განვითარებადი ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური ზრდისთვის.

14 http://www.focus-economics.com/regions/cis-countries

აღწერის შედეგებით არის გამოწვეული, რომელთა მიხედვით საქართველოს მოსახლეობა მხოლოდ 3.7 მლნ ადამიანი აღმოჩნდა. ამავე გარემოების შედეგია ის, რომ მიუხედავად ლარის მნიშვნელოვანი გაუფასურება მშპ ერთ სულ მოსახლეზე აშშ დოლარებში 1.8%–ით გაიზარდა (3676.2–დან 3743.1–მდე).



წყარო: საქსტატი



წყარო: საქსტატი

სამომხმარებლო ფასების ინდექსი და ინფლაცია



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

განსხვავებით 2012–2013 წლებისგან, 2014–2015 წლები ინფლაციის ტემპების ზრდით ხასიათდებოდა, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი ლარის გაუფასურებამ ითამაშა. ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებელს, რომელიც ამჟამად 5%–ის ტოლია, ფაქტობრივი ინფლაცია მხოლოდ 2015 წლის მეორე ნახევარში გადაცდა, თუმცა წლის ბოლოს ისევ მასზე ქვემოთ აღმოჩნდა. ამასთან საშუალო წლიური ინფლაცია ამ მაჩვენებელზე ქვემოთ 2012 წლის მარტის მერე იმყოფებოდა.

მნიშვნელოვანი როლი ინფლაციის ტემპების შებოჭვაში, მიუხედავად მკვეთრი გაუფასურებისა, ითამაშა იმანაც, რომ საკვები პროდუქტების ფასები მსოფლიო ბაზარზე ბოლო 2.5 წლის მანძილზე კლებას განიცდიდა და ამ კლების მასშტაბები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 2015 წლის მანძილზე.[15]

15 http://www.fao.org/worldfoodsituation/foodpricesindex/en/

წყარო: საკვები პროდუქტებისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO)

შესაბამისად, მიუხედავად იმპორტის მკვეთრი გაძვირების საშიშროებისა, მსოფლიო ფასების შემცირებამ, ნავთობის ფასების შემცირებასთან ერთად მნიშვნელოვანი შემაკავებელი ეფექტი მოახდინა სამომხმარებლო ფასების ზრდაზე საქართველოში. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 2015 წლის მანძილზე საქართველოს ეროვნულმა ბანკმა რამდენჯერმე გაზარდა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, იმისათვის, რომ შეებოჭა ინფლაციის მოლოდინები.



წყარო: St. Louis Fed



წყარო: FAO

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ამავე დროს, ინფლაცია ევროკავშირის ქვეყნებსა და აშშ–ში 2015 წლის მანძილზე ნულოვანი ნიშნულის მიდამოებში მერყეობდა, ამასთან, წლის დასაწყისში, შედარებით მაღალი ინფლაცია დაფიქსირდა ტრადიციულად დაბალი ინფლაციის მქონე იაპონიაში, თუმცა წლის მეორე ნახევარში ტრენდი შეიცვალა.



წყარო: შესაბამისი ქვეყნების სტატისტიკის სამსახურები

2015 წლის მანძილზე ინფლაცია სამხრეთ კავკასიის სხვა ქვეყნებში უფრო დაბალი იყო, ვიდრე საქართველოში, ამასთან, თუკი აზერბაიჯანში მისი მერყეობა საკმაოდ დაბალი იყო (2015 წლის იანვარს თუ გამოვრიცხავთ, ის 3.4%–4.5% ფარგლებში მერყეობდა), სომხეთის შემთხვევაში ის მნიშვნელოვნად შემცირდა წლის მანძილზე, ხოლო დეკემბერში კი დეფლაცია დაფიქსირდა.

მეორეს მხრივ, რუსეთში, უკრაინასა და ბელარუსში მთელი წლის მანძილზე ინფლაცია ორნიშნა იყო, უკრაინის შემთხვევაში კი განსაკუთრებით მაღალი, რაც ქვეყანაში მაკროეკონომიკური და პოლიტიკური არასტაბილურობით აიხსნება. ამასთან, წლის მეორე ნახევრიდან ინფლაცია უკრაინაში აშკარა კლების ტენდენციით ხასიათდებოდა.



წყარო: შესაბამისი ქვეყნების სტატისტიკის სამსახურები

საგარეო სექტორი

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

წინასწარი მონაცემებით, 2015 წელს საქართველოში 1.351 მლრდ აშშ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შემოვიდა. 2014 წელს თუ გამოვრიცხავთ, ეს 2008 წლის შემდეგ ყველაზე მაღალ მაჩვენებელს წარმოადგენს და მნიშვნელოვანი პროგრესია 2012–2013 წლებთან შედარებით, როდესაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ოდენობა 1 მილიარდ აშშ დოლარზე ნაკლები იყო.

გლობალურ მასშტაბში, გასულ წლებში ინვესტიციების ნაკადების შენელება დაფიქსირდა. კერძოდ 2014 წელს წინა წელთან შედარებით გლობალური პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 16%–ით შემცირდა და 1.23 ტრილიონი აშშ დოლარი შეადგინა. ამის მიზეზი, ძირითადად, მსოფლიო ეკონომიკის სიმყიფე, ინვესტორთათვის პოლიტიკის გაურკვევლობა და გაზრდილი გეოპოლიტიკური რისკები იყო.[16] ამასთან, გაიზარდა შემავალი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები განვითარებად ქვეყნებში, ხოლო ჩინეთი მსოფლიო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე დიდი მიმღები გახდა.

არსებული პროგნოზებით, მოსალოდნელია გლობალური პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა, კერძოდ, 2015 წლის მოსალოდნელი მაჩვენებელი 1.4 ტრილიონი აშშ დოლარია და ეს მაჩვენებელი 2016 წელს 1.5, ხოლო 2017 წელს 1.7 ტრილიონ აშშ დოლარამდე გაიზრდება. თუმცა, ამ პროგნოზს გარკვეული რისკებიც ახლავს თან, კერძოდ მიმდინარე სირთულეები ევროზონაში, სხვადასხვა კონფლიქტების პოტენციური ზეგავლენა, და განვითარებად ეკონომიკებში არსებული მოწყვლადობა, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს ნაწინასწარმეტყველებ ზრდას.[17]

საქართველოში 2015 წელს შემოსული უცხოური ინვესტიციები შეგვიძლია წარმომავლობის მიხედვით სამ ძირითად ნაკადად დავყოთ – ევროკავშირის ქვეყნები, დსთ–ს ქვეყნები და სხვა ქვეყნები. მათგან, ევროკავშირის ქვეყნების წილზე მოდიოდა მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 37.7% (509 მლნ აშშ დოლარი; ამ ნაკადების დაახლოებით 3/5 მოდიოდა გაერთიანებულ სამეფოსა და ნიდერლანდებზე), დსთ–ს ქვეყნებზე – 43% (582.8 მლნ აშშ დოლარი; ქვეყნების ამ ჯგუფში გამოკვეთილი ლიდერია აზერბაიჯანი, საიდანაც საქართველოში 2015 წელს 541.8 მლნ აშშ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია შემოვიდა), ხოლო დანარჩენ ქვეყნებზე კი 15.8% (213.4 მლნ აშშ დოლარი; ამ ნაკადების ლომის წილი – თითქმის 80% – მოდის აშშ–ზე, თურქეთსა და ჩინეთზე). აღსანიშნავია, ასევე, რომ გარკვეულ ქვეყნების შემთხვევაში ადგილი ჰქონდა საქართველოდან კაპიტალის

16 World Investment Report, 2015, გვერდი 30 (http://unctad.org/en/PublicationsLibrary/wir2015_en.pdf)

17 იქვე

წმინდა გადინებას. მთლიანობაში, ქვეყანა 2015 წელს დატოვა 124.8 მლნ აშშ დოლარმა და ამ ნაწილის ძირითადი ნაწილი წავიდა იაპონიაში (39.2 მლნ), ბრიტანული ვირჯინიის კუნძულებზე (29.2 მლნ), კაიმანის კუნძულებზე (29.1 მლნ) და უკრაინაში (17.1 მლნ).



წყარო: საქსტატი

სექტორულ დანაწილებას რომ შევხედოთ, ბოლო ორი წლის მანძილზე ინვესტიციების ყველაზე დიდი წილი მიიღო ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორმა – ჯამში 1 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი, რაც ამ პერიოდში შემოსული ინვესტიციების 33%–ს შეადგენს. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სხვა მსხვილი მიმღებები მშენებლობისა და ფინანსური სექტორები იყო.



წყარო: საქსტატი

ვაჭრობა

2015 წელს 2014–თან შედარებით შემცირდა როგორც საქართველოს სავაჭრო დეფიციტი, ისე სავაჭრო ბრუნვაც. თუკი 2014 წელს მთლიანი საგარეო ვაჭრობა შეადგენდა 11.454 მილიარდ აშშ დოლარს, ხოლო დეფიციტი კი 5.733 მილიარდი დოლარი იყო, 2015 წელს ეს მონაცემები დაეცა, შესაბამისად 13.3% და 3.6%–ით და 9.933 და 5.525 მილიარდი დოლარი შეადგინა. ამ დინამიკის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი ლარის კურსზე წლის განმავლობაში დაფიქსირებული ზეწოლა იყო, რომელსაც დეტალურად ცალკე განვიხილავთ და ამდენად ჩვენი ანალიზის ამ ნაწილში მასზე არ შევჩერდებით.



წყარო: საქსტატი

იმპორტი საქართველოში მნიშვნელოვნად (10%–ით) შემცირდა წინა წელთან შედარებით და 7.729 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. ამასთან, ექსპორტის შემცირება, ქვემოთ განხილული მიზეზების გამო, უფრო მკვეთრი იყო და 23% შეადგინა; შედეგად ექსპორტმა 2015 წელს 2.204 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2011 წლის შემდეგ ყველაზე დაბალ მაჩვენებელს წარმოადგენს. 2015 წელს საქართველოს ექსპორტის პრობლემებმა კიდევ ერთხელ გვანახა, თუ რამდენად არასაიმედო სავაჭრო პარტნიორს წარმოადგენს რუსეთი და რამდენად დამღუპველია მის ბაზარზე საქართველოს დამოკიდებულება, მიუხედავად იმისა, რომ ამჯერად რუსეთთან ვაჭრობის შემცირება ნაკლებად იყო პოლიტიკური გადაწყვეტილებების შედეგი და უმეტესწილად ქვეყნის ეკონომიკის პრობლემების შედეგს წარმოადგენდა.



წყარო: საქსტატი

მიუხედავად ვაჭრობის ზოგადი შემცირებისა, დადებითი ტენდენციები შენარჩუნდა ევროკავშირთან ვაჭრობაში. ექსპორტი ევროკავშირში 2015 წელს 3.6%–ით გაიზარდა და 646.4 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც თავისთავად მისასალმებელი ფაქტია. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკულად ყველა სხვა მსხვილ სავაჭრო პარტნიორ ქვეყანასა თუ რეგიონში 2015 წელს ექსპორტი საქართველოდან მნიშვნელოვნად შემცირდა – 42.7%–ით დსთ–ში (აქედან 40.7%–ით რუსეთში და 55.8%–ით აზერბაიჯანში, რომლებიც ამ რეგიონში საქართველოს ორი ყველაზე მსხვილი პარტნიორია), 49.8%–ით – აშშ–ში და 21.9%–ით – თურქეთში. აშშ–ში ექსპორტის კლება განსაკუთრებით საყურადღებოა, რადგანაც ლარის აშშ დოლარის მიმართ გაუფასურებას დადებითი გავლენა უნდა მოეხდინა ამ სავაჭრო მაჩვენებელზე.



წყარო: საქსტატი

2015 წლის მანძილზე საქართველოს მთავარ საექსპორტო პოზიციას – მთლიანი ექსპორტის 12.28% – სპილენძის მადნები და კონცენტრატები წარმოადგენდა. შედარებით მნიშვნელოვანი იყო მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტიც, თუმცა მისი წილი მთლიან ექსპორტში მნიშვნელოვნად შემცირდა გასულ წლებთან შედარებით. აღსანიშნავია, რომ მეოთხე ადგილს საქართველოს ექსპორტში იკავებს თხილი, რომელიც, ღვინოს ექსპორტის თითქმის განახევრების გამო, დღეისათვის წარმოადგენს საქართველოს მთავარ სასოფლო–სამეურნეო ექსპორტს.



წყარო: საქსტატი

საქართველოს ყველაზე მსხვილ საიმპორტო პარტნიორად კვლავ თურქეთი გვევლინება, თუმცა მისი წილი მნიშვნელოვნად დაეცა 2014 წელთან შედარებით (22.3%–იდან 17.2%–მდე). თითქმის 2 პროცენტული პუნქტით გაიზარდა ევროკავშირის წილი მთლიან იმპორტში და მან 32.6% შეადგინა. სხვა ქვეყნებიდან, აღსანიშნავია ირლანდიის წილის მნიშვნელოვანი ზრდა – თუ 2014 წელს იმპორტი ირლანდიიდან მთლიანი იმპორტის მხოლოდ 0.1%–ს შეადგენა, 2015 წელს ეს მაჩვენებელი 5.9%–ს გაუტოლდა. ამ ზრდის მიზეზი ირლანდიიდან შემოსული ჰეპატიტ ც–ს მედიკამენტებია.



წყარო: საქსტატი

წამყვან საიმპორტო პოზიციებში დაწინაურდა სამკურნალო საშუალებები, ძირითადად ჰეპატიტ ც–ს საწინააღმდეგო მედიკამენტების იმპორტის ხარჯზე, თუმცა, იმის გამო, რომ აღნიშნული მედიკამენტების შეძენა სპეციალური გრანტის ხარჯზე მოხდა, მთლიანობაში იმპორტის ამ შემადგენელ ნაწილს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტზე გავლენა არ მოუხდენია. მსოფლიო ბაზრებზე ნავთობის ფასების მკვეთრი დაცემის შედეგად შემცირდა ნავთობისა და ნავთობპროდუქების წილი იმპორტში (11.9%–დან 2013 წელს 8.5%–მდე 2015–ში). ასევე, შემცირდა მსუბუქი ავტომობილების წილი, სავარაუდოდ რეექსპორტის ბაზრის შემცირების გამო.



წყარო: საქსტატი

დასკვნები და პოლიტიკის რეკომენდაციები

სხვადასხვა პროგნოზების მიხედვით, ეკონომიკური ზრდა საქართველოში 2016 წელს 3%–ის ფარგლებშია მოსალოდნელი. ეს საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია, თუმცა, რეგიონში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, უფრო სწრაფი ზრდის მიღწევა ნაკლებად მოსალოდნელია. აღსანიშნავია ისიც, რომ 2016 (ისევე, როგორც 2017 და 2018) წელი საარჩევნო წელს წარმოადგენს, და ამდენად წლის ბოლოს ეკონომიკურ აქტივობაში მაღალი მერყეობა შეიძლება იყოს მოსალოდნელი.

2014–15 წლების გამოცდილებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს შესაძლო საგარეო შოკებს. მიუხედავად იმისა, რომ წლის II-III კვარტალებში მოსალოდნელია სავალუტო შემოდინებების ზრდა (და ამდენად ლარზე გამყარების მიმართულებით ზეწოლა), ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლებმა უნდა გაითვალისწინონ წლის ბოლოს გაუფასურების შესაძლო რისკები და წინასწარ მიიღონ ზომები ეგზოგენური შოკებისგან თავის დასაცავად. ამ მხრივ, ეროვნული ბანკის ინტერვენციები სავალუტო ბაზარზე (კერძოდ კი აშშ დოლარის შესყიდვები, რომლებიც 2015 წლის აპრილსა და მაისში განხორციელდა) მნიშვნელოვანია როგორც ლარის ზედმეტი გამყარებისგან დაცვის კუთხით, ისე ლარის კურსის დინამიკის ზოგადი შერბილების მხრივ.

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC)
ფალიაშვილის ქ. 85. მეოთხე სართული. 0162. თბილისი. საქართველო.
(995 32) 2 207 305
info@eprc.ge
@EPRC_Georgia
Economic Policy Research Center
www.eprc.ge